# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 17 სექტემბერი 1994 № 48 (123) ფასი 100 000 კუპონი

## უეფას თასი

ოცდამეთორმეტედფინალი. პირველი მატჩები. 13 სექტემბერი

ანორთოსისი (კვიპროსი) — ატლეტიკი (ბილბაო, ესპანეთი) 2:0
გოგიჩი (6), ტამბორისი (41)
ც.ს.კ.ა. (სოფია, ბულგარეთი) — იუვენტუსი (იტალია) 3:2
მიტარსკი (44, 82), რადუკანოვი (70); პორინი (39), დელ პიერო (76)
გ.კ.ს. (კატოვიცე, პოლონეთი) — არისი (საბერძნეთი) 1:0
მაციევსკი (20 პ)
არაუ (შვეიცარია) — მარიტიმუ (პორტუგალია) 0:0
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — მარსელი (საფრანგეთი) 1:2
ივიჩი (57); ფერერი (31), მარკე (79)
რუსენბორგი (ნორვეგია) — დეპორტივო (ლა ქორუნია, ესპანეთი) 1:0
ლეკენი (52)
აპოლონი (კვიპროსი) — სიონი (შვეიცარია) 1:3
კრჩმარევიჩი (36); ბონვენი (70), მარენი (83, 85)
ტვენტე (ჰოლანდია) — კიშპეშტ ჰონვედი (უნგრეთი) 1:4
მოლსი (38); კ. კოვაჩი (20, 51, 75), პამარი (88)
ვიტესი (ჰოლანდია) — პარმა (იტალია) 1:0
გილჰაუსი (51)
აკრანესი (ისლანდია) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 0:4
პამანი (32), ანდერსი (43), კუნცი (51) კუკა (58)
ანტვერპენი (ბელგია) — ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი) 0:5
ლი (1, 9, 55), სელერსი (39), უოტსონი (78)
ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) — ოდენსე (დანია) 1:1
ანდერსონი (86); შენბერგი (46)
ინტერი (იტალია) — ასტონ ვილა (ინგლისი) 1:0
ბერხკამპი (74 პ)
ოლიმპია (ლუბლიანა, სლოვენია) — აინტრახტი (გერმანია) 1:1
სერენი (ბელგია) — დინამო (მოსკოვი, რუსეთი) 3:4
ვამბერტო (68), შასენსი (74), ედმილსონი (88); სმირნოვი (18), ჩერიშევი (28, 61), სიმუტენკოვი (43 პ)
ა.ი.კ. (შვედეთი) — სლავია (პრაღა, ჩეხეთი) 0:0
დინამო (მინსკი, ბელარუსი) — ლაციო (იტალია) 0:0
ბაიერი (ლევერკუზენი, გერმანია) — პ.ს.ვ. (ეინდჰოვენი, ჰოლანდია) 5:4
კირსტენი (5, 15, 41), დული (13), მუსტერი (73); რონალდო (11 პ, 45, 61), ნილისი (88)
ბოავიშტა (პორტუგალია) — მიუპა 47 (ფინეთი) 2:1
ოლივეირა (2), ნუნიუ გომეში (62); ლააკსონენი (42)
ადმირა ვაკერი (ავსტრია) — გურნიკი (პოლონეთი) 5:2
გაგერი (7 პ, 60 პ), შინერი (18), კლაუსი (66), ველდობი (90); სემონსკი (26), ორლეჩკი (44)
როტორი (ვოლგოგრადი, რუსეთი) — ნანტი (საფრანგეთი) 3:2
გერაშჩენკო (42), ნეჩაი (65), ვერეტენნიკოვი (77); უედეკი (28), ნ დორამი (83)
ნაპოლი (იტალია) — სკონტო (რიგა, ლატვია) 2:0
კარბონე (30 პ, 49)
სლოვანი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) — კოპენჰაგენი (დანია) 1:0
ტომაშეკი (76)
ტრაბზონსპორი (თურქეთი) — დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი) 2:1
ორჰანი (7), სონერი (19); ივანი (29)
რეალი (მადრიდი, ესპანეთი)—სპორტინგი (ლისაბონი, პორტუგალია) 1:0
მარტინ ვასკესი (11)
კანი (საფრანგეთი) — ფენერბაჩე (თურქეთი) 4:0
დიურიკსი (50 პ), კოზნიკუ (53, 80), ორლავილი (66)
რაპიდი (ბუქარესტი რუმინეთი) — შარლერუა (ბელგია) 2:0
ჩირიტა (18), ვლადოიუ (70)
დინამო (თბილისი, საქართველო) — ტიროლი (ინსბრუკი, ავსტრია) 1:0
რ. არველაძე (40 პ)
ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია) — მოზერუელი (შოტლანდია) 1:0
მიოლერი (58)
ბორდო (საფრანგეთი) — ლილესტრიომი (ნორვეგია) 3:1
დიუგარი (4), ლ. იონსენი (38, საკ. კარში), რიხარდ ვიჩხე (85); იუარი (6, საკ. კარში)
ბლექბერნ როვერსი (ინგლისი) — ტრელებორგსი (შვედეთი) 0:1
სანდელი (71)
ტექსტილშჩიკი (კამიშინი, რუსეთი) — ბეკეშჩაბა (უნგრეთი) 6:1
გუსაკოვი (38), პოლსტიანოვი (55, 91), ვოლგინი (58), ფილიპოვი (80, 90); სარვაში (15)

## ჩემპიონთა ლიგა

პირველი ტური. 14 სექტემბერი

A ჯგუფი
მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — გიოტებორგი (შვედეთი) 4:2
ბარსელონა (ესპანეთი) — გალათასარაი (თურქეთი) 2:1
B ჯგუფი
პარი სან-ჟერმენი (საფრანგეთი) — ბაიერნი (გერმანია) 2:0
დინამო (კიევი, უკრაინა) — სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) 3:2
C ჯგუფი
ჰაიდუკი (ხორვატია) — ბენფიკა (პორტუგალია) 0:0
ანდერლეხტი (ბელგია) — სტიაუა (რუმინეთი) 0:0
D ჯგუფი
კაზინო (ავსტრია) — ა.ე.კ. (საბერძნეთი) 0:0
აიაქსი (ჰოლანდია) — მილანი (იტალია) 2:0

## თასების თასი

მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები. 15 სექტემბერი

პირინი (ბულგარეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 0:2
ბეშიქთაში (თურქეთი) — პ.ი.კ. (ფინეთი) 3:1
კროაცია (ხორვატია) — ოსერი (საფრანგეთი) 3:1
გრასჰოპერსი (შვეიცარია) — ჩერნომორეცი (უკრაინა) 3:0
ბრანიკი (სლოვენია) — აუსტრია (ავსტრია) 1:1
ბოდო გლიმტი (ნორვეგია) — სამპდორია (იტალია) 3:2
ბრონდბიუ (დანია) — ტირანა (ალბანეთი) 3:0
ჩელსი (ინგლისი) — ვიქტორია (ჩეხეთი) 4:2
მაკაბი (თელ-ავივი, ისრაელი) — ვერდერი (გერმანია) 0:0
ც.ს.კ.ა. (რუსეთი) — ფერენცვაროში (უნგრეთი) 2:1
ომონია (კვიპროსი) — არსენალი (ინგლისი) 1:3
დანდი იუნაიტედი (შოტლანდია) — ტატრანი (სლოვაკეთი) 3:2
გლორია (რუმინეთი) — სარაგოსა (ესპანეთი) 2:1
სლიგო როვერსი (ირლანდია) — ბრიუგე (ბელგია) 1:2
პორტუ (პორტუგალია) — ლ.კ.ს. ლოძი (პოლონეთი) 2:0
ჟალგირისი (ლიტვა) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) 1:1

# მოქმედება მეორე: იგივენი და ნოდია



0:1 და 1:0 — საპირისპირო შედეგებით დასრულდა ეროვნულ სტადიონზე ექვსდღიანი ინტერვალით გამართული ორი მატჩი. მართალია, მოლდოვას მეტოქეს საქართველოს ნაკრები ერქვა, „ინსბრუკისას" — თბილისის „დინამო", მაგრამ ორივე სტუმარს, ფაქტიურად, ერთი გუნდი დაუხვდა — თითქმის იდენტური შემადგენლობითა და ტაქტიკური სქემით.

თუ მოქმედნი პირნი იგივენი იყვნენ, მაშ ნაკრების წაგება მწვრთნელის ბრალი ყოფილაო — უმარტივესი ლოგიკური დასკვნა ალბათ ბევრმა უკვე გამოიტანა კიდეც. ბულგარეთთან თამაში ამ საკითხს ალბათ მეტ სინათლეს მოფენს, აქ კი შევნიშნავთ, რომ გუნდმა ერთ დღეს შეიძლება ცუდად ითამაშოს, ცოტა ხანში — გაცილებით უკეთ. თანაც, ორივე მატჩის პირველი ტაიმი ტყუპისცალებივით ჰგავდა ერთმანეთს — იმ განსხვავებით, რომ მე-40 წუთზე წინა ოთხშაბათს გოლი მოლდოველებმა შეაგდეს, ამ სამშაბათს — ქართველებმა. პირიქით რომ მომხდარიყო, არც ისაა გამორიცხული, შედეგიც საპირისპირო მიგველო. „დინამო" — „ინსბრუკის" მეორე ნახევარი კი იმ შვიდ დღეში ნათამაშებ ოთხ ტაიმს შორის ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, დამაიმედებელი იყო და მასზე საუბარი ბოლოსთვის შემოვინახეთ, ჯერ კი ორ თამაშს შორის რამდენიმე პარალელის გავლებას ვაპირებთ.

უნდა დავუშვათ, რომ მოლდოვის ნაკრები და „ინსბრუკი" ტოლძალოვანი გუნდებია. ალბათ ბევრი შემოგვედავება — ავსტრიელებთან მოლდოველთა ძალა რა მოსატანიაო, მაგრამ გაითვალისწინონ, რომ „ინსბრუკი" მაინცდამაინც მოსაგებად არ ჩამოსულა და საპასუხო მატჩის იმედად იქნებ 0:1 წაგებამაც სავსებით დააკმაყოფილა, მოლდოვას კი ქულებზე უნდა ეფიქრა — რამხელა სხვაობით წააგებდა, მისთვის სულერთი იყო.

— თქვენ, ჟურნალისტები ტაქტიკას გადაჭარბებულ ყურადღებას აქცევთ, არადა, მაგდენად მნიშვნელოვანი სულაც არაა — „ინსბრუკის" მწვრთნელ ჰანს კრანკლისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ნათქვამ მის ფრაზას თუნდაც იმიტომ ვერ გავიზიარებთ, რომ ჩვენი გუნდის ტაქტიკის გაურჩევლად ისლა დაგვრჩება, მოქმედების ქრონოლოგიური მიმდევრობალა შევახსენოთ.

„ლინფილდთან" შარშანდელი შეხვედრიდან მოყოლებული, „დინამომ" უკვე მეხუთე საერთაშორისო მატჩი ჩაატარა სამი მცველით. საქართველო — მოლდოვას თამაშამდე ხმა დაირხა: ჩივაძე ტაქტიკის შეცვლას — მეოთხე მცველის გამოყვანას აპირებსო. თუ ამ ხმებს დავუჯერებთ, რევიშვილს მარჯვენა ფრთაზე უნდა ეთამაშა, ჩიხრაძეს — მარცხნივ, ნემსაძე კი ნახევარმცველობას უნდა დაბრუნებოდა. ხმები ხმებად დარჩა, ნაკრების მწვრთნელმა კი საბოლოოდ ნოდიას მიერ ნაცადი „რეცეპტი" ირჩია.

ჩვენი აზრით, მოლდოვასთან მარცხის მთავარი მიზეზი სწორედ სამკაციანი დაცვა იყო და ეგ ტაქტიკა ხეირს არც „დინამოს" დააყრის, ოღონდ აქ ერთი რამაა გასათვალისწინებელი: საკლუბო გუნდის მწვრთნელს რომელიმე რგოლში შეიძლება ფეხბურთელების ნაკლებობა აწუხებდეს და შემადგენლობაც ამის მიხედვით დაადგინოს — თავდამსხმელი ნახევარმცველად ათამაშოს, ნახევარმცველი — მცველად და თუ



გუნდში სამად-სამი მცველი ჰყავს (სხვა საკითხია — რატომ?), ცხადია, იძულებული შეიქნება, სამი მცველით ითამაშოს. ეროვნულ ნაკრებში კი ფუნქციების მსგავსი აღრევა დაუშვებელია და იმას მიგვანიშნებს, რომ ნაკრების უფროსობა თავის სამწყსოს კარგად არ იცნობს.

ჯოხის იმ სამ კაცზე გადატეხვაც უსინდისობაა: ნემსაძემ, შელიამ და ცხადაძემ თავიანთი საქმე პირნათლად შეასრულეს — ეგ იყო, ნახევარდაცვიდან მათ არავინ დაეხმარა. სწორედ აქ შევნიშნეთ ერთადერთი განსხვავება ჩივაძისა და ნოდიასეულ ტაქტიკურ სქემაში: ე.წ. „საყრდენი ნახევარმცველობა", თუ გნებავთ, „ნახევარდაცვის ბურჯობა" ნაკრებში ჯამარაულს დაევალა, რომელსაც მაგ ადგილზე თავის დღეში არ უთამაშია, „დინამოში" კი იგივე საქმეს ინალიშვილი აკეთებს: „უნივერსიტატიასთანაც" გვარიანად შეუმსუბუქა ტვირთი დაცვას და „ინსბრუკთან" ხომ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი იყო. მოლდოვასთან კი გელამ მხოლოდ მეორე ტაიმი ითამაშა, როცა მთელი გუნდი გოლის გატანას ეშურებოდა და ურთიერთდაზღვევის სისტემა საკუთარ ნახევარზე მთლიანად მოშლილი იყო.

აქვე ორიოდე შენიშვნასაც შევკადრებთ ნაკრების ხელმძღვანელობას და „დინამოს" მიუუბრუნდებით. საკლუბო გუნდის ხათდარიგო მოთამაშის ნაკრებში მიწვევა უთუოდ პრინციპული გადაწყვეტილებაა და დაახ-

იხილეთ მეორე გვერდი

# სფფ III ყრილობის შესახვედრად

დღეს, 12 საათზე, ეროვნული სტადიონის სხდომათა დარბაზში დაიწყება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესამე ყრილობა, რომლის ჩატარებაც, წესდების თანახმად, ექვსი თვით ადრე დადგინდა. ამ ორგანიზაციის გენერალური მდივნის დავით კვინიკაძისგან შევიტყვეთ, რომ ყრილობაზე ორასამდე დელეგატია მიწვეული. მიწვეულთა ოდენობა ფედერაციის აღმასკომმა 30 მაისს განსაზღვრა და იგი ასეთია: თბილისის, აჭარისა და აფხაზეთის ფედერაციებს მისცეს ორ-ორი ადგილი, დანარჩენ ქალაქებსა და რაიონებს — თითო. ორ-ორი ადგილი ერგოთ პირველი ჯგუფის, თითო-მეორე და მესამე ჯგუფისას, სპორტსკოლებს და ბავშვთა კლუბებს. ფედერაციის აპარატი ყრილობაზე თხუთმეტ დელეგატს [illegible] რივი დანაყოფები (სადისციპლინო კომისია და სხვა) ათს, მსაჯებს ექვსი წარმომადგენელი ეყოლებათ და ა.შ. დელეგატებს [illegible] ულდათ აღმასკომის ანგარიში, ამიტომაც საანგარიშო მოხსენება არ წაიკითხება. ყრილობას ჟურნალისტებიც დაესწრებიან. იმ გაზეთებს, რომლებიც ფეხბურთის ამბებს მუდმივად აშუქებენ — თითო, სატელევიზიო არხებს კი ორ-ორი კორესპონდენტი ეყოლებათ აკრედიტებული.

# როგორც იქნ[illegible]

ქართველებმა წლეულს პირველად მოიპოვეს მხოლი. [illegible]ონატის მედლები! ფინეთში, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ასპარეზობაში თბილისელებმა საკურ გოგ[illegible] (100 კგ.) და გელა პაპაშვილმა (48) შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს. ფინეთში ნათლად გამოჩნდა ქართველ[illegible] თუ „ნაქართველარ" მოჭიდავეთა პოტენცია — რუსეთის სახელით [illegible] კოლუაშვილი (90) მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემ[illegible] გიორგი სალდაძე (100) ბრინჯაოს მედალს დ[illegible]

# მოქმედება მეორე: იგივენი და ნოდია

დასაწყისი პირველ გვერდზე

ლოებით შემდეგს მოასწავებს: „ამ კაცისთვის თავის გუნდში ადგილი ვერ მოუნახიათ. ნახეთ, მე როგორ გამოვიყენებ!" რევიშვილის ნაკრებშიც სათადარიგოდ მიწვევა კი გაუგებარია, ისევე, როგორც ჩიხრაძის საბულგარეთოდ გადანახვა. ნაკრების დებიუტანტის გამოსაცდელად მოლდოვაზე უკეთეს მეტოქეს სად ნახავს კაცი, პირდაპირ სტოიჩკოვს რომ არ უნდა ჩავუგდოთ ხახაში? არც შემადგენლობის კარდინალური ცვლილებებით დაგვიდგება კარგი დახლი: ნაკრებმა წელს ცხრა მატჩი ჩაატარა და შესაცვლელი კარგა ხნის შეცვლილი უნდა იყოს.

ახლა იმ ყბადაღებულ ტაქტიკურ სქემას დავუბრუნდეთ, პირობითად „სამცველო-



ბანა" რომ შევარქვით, ოღონდ, მკითხველისთვის მცირე ისტორიულ ექსკურსს მოვაწყობთ.

ეს ტაქტიკა პირველად დანიელთა მწვრთნელმა ზეპ პიონტეკმა გამოიყენა 1984 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, იმავე ტურნირის ფინალურ სტადიაზე კი საფრანგეთის ნაკრებმაც გვანახა. ფრანგები სუფთა სამი მცველით თამაშობდნენ: ნახევარდაცვის ხუთეულიდან (ტიგანა, ჟირესი, ფერნანდესი, პლატინი, ფერერი ან ჟენგინი) მცველობისადმი მიდრეკილებას ვერავის დააბრალებდით. შემდგომ ტაქტიკამ სახე იცვალა და კარგა ხანია, ასეთი ფორმა მიიღო: სამი ცენტრალური და ორი ე.წ. აწეული განაპირა მცველი. უახლოეს მსოფლიოს ჩემპიონატზე ამგვარად რამდენიმე გუნდი თამაშობდა, მათგან ყველაზე გამორჩეულნი გერმანია და ბრაზილია იყვნენ, თუმცა რაღა შორს წავიდეთ — ჩვენი მეტოქე „ინსბრუკიც" ამ სქემის მიმდევარია. აქ მთავარი ფიგურები განაპირა მცველებია, რომელთაც მთელი ფრთა აბარიათ — საკუთარიდან მეტოქის საჯარიმომდე — მცველობასაც სწევენ, ნახევარმცველობასაც, ზოგჯერ — გარემარბობასაც და სამ ნახევარმცველსაც თავისუფალი შემოქმედების საშუალებას აძლევენ. ამ ადგილზე მოთამაშეთ ცხენის ამტანობა და, რაც მთავარია, მცველის ჩვევები მოეთხოვებათ. ისევ ამერიკული მსოფლიოს ჩემპიონატი გავიხსენოთ — ბრაზილიელები: ჟორჟინიო და ლეონარდო, გერმანელები: ეფენბერგი და ბრემე, რუმინელი პეტრესკუ, არგენტინელი შამოტი, ბულგარელი კირიაკოვი... ეფენბერგის გარდა ამათ მცველები უფრო ეთქმით, ვიდრე ნახევარმცველები.

„დინამოში" კი ფლანგები მთლიანად აქვთ მინდობილი რეზო არველაძესა და ყაველაშვილს. რეზომ „ლ-ნ-ფილ[illegible]" [illegible]-

რსიტატიასთან" შეუძლებელი შეიძლო, მოლდოვასთან და „ინსბრუკთან" პირველ ტაიმში კი დაცვის მიხედვა გაუჭირდა — მცველად არასოდეს უთამაშია. ყაველაშვილი ცოტა ხნის წინ სულაც თავდამსხმელი იყო, მერე როგორც იტყვიან „გუნდის ინტერესებისთვის", უკან დაიხია და მარცხენა ფრთაზე ოთხივე ზემოხსენებულ მატჩში თითო ტაიმი გაძლო. ამ ამპლუის მოთამაშისთვის სწორედ საშინაო თამაშებია ძნელი, როცა ყოველი შეტევის შემდეგ დაახლოებით 50-მეტრიანი ჭანცისგამწყვეტი უკან ჩარბენა და დაცვის დროულად შევსება გევალება, თორემ გასვლით თამაშებში და „ინსბრუკთან" მეორე ტაიმში, როცა „დინამომ" უკან დაიხია და ამათი მარშრუტიც თავიანთი საჯარიმოდან მოედნის ცენტრამდე შემოკლდა, საქმეს ორივე აუვიდა.

პირველი ტაიმი მოლდოვასთან მატჩის ანალოგიური იყო, შევნიშნეთ. მამაპაპურად ჩაცმულმა „დინამომ" თავიდან რიხიანად შეუტია, პირველ წუთებში ისეთი პრესინგი დაუწესა მეტოქეს, ცენტრს აქეთ ცხვირი არ გამოაყოფინა. მერე და მერე შეტევების ცეცხლი მინავლდა და, თუ პირველ თხუთმეტ წუთში ავსტრიელები ბურთს მოხელთებისთანავე სანეს გადაუგდებდნენ ხოლმე, თანდათან კომბინაციების ხლართვაც გაუტკბათ. კირხლერმა, ბაურმა და შტიოგერმა ცენტრი საიმედოდ გადაკეტეს და ინალიშვილს, ქინქლაძესა და ჯამარაულს თამაშის გასამწვავებლად რამდენიმე მეტოქის მოტყუება უწევდათ, ანაც შორიდან დარტყმები — წინ პასები ნაკლებად ეფექტური იყო: ბოლო ორმა თამაშმა ისიც დაგვანახა, რომ თავდასხმაში არც ისე კარგად გვქონია საქმე, როგორც გვეგონა. რამდენიმე სახიფათო მომენტი მაინც შეიქმნა. ერთხელ შოთა არველაძე მეკარესთან პირისპირაც დარჩა, მაგრამ კოხმა დაასწრო. ფლანგებზე უკვე მოგახსენეთ: ყაველაშვილი ტყუპების მიხმარებას ლამობდა და უკან ჩამოსვლას აგვიანებდა, რის გამოც ორჯერ გოლსაც გადავრჩით: ჯერ ზოიძემ გვიხსნა, მერე — ლობჟანიძემ. რეზომ თავისი „ამოკეტვა" პარტმანსა და მის საშველად წამოსულ შტრაიტერს ყვითელ ბარათებად კი დაუსვა, მაგრამ შელიას ორივე გაფრთხილებაც ხომ ინსბრუკელთა მარცხენაფლანგურ კონტრშეტევებს მოყვა — თბილისელთა ლიბერო ჯერ ზედ მოედნის კიდეზე, თავის მარჯვენა ფრთის დაზღვევისას დაჯარიმდა, მეორედ — ცენტრში, როცა იმავე ფრთიდან ბურთის მომლოდინე სანემ იეშმაკა. მოედნიდან გასაძევებლად ორად-ორმა ჯარიმამაც იკმარა.

შელიას ფათერაკამდე ოთხიოდე წუთით ადრე ჯამარაულმა გვიხსნა: ცენტრიდან საჯარიმომდე მეკარიანად ოთხი კაცი მიაწვინა და ის იყო, მეორე ჯერზე წასვლა დააპირა, რომ კოხმა წააქცია. რეზომ პენალტი ზუსტად დაარტყა.

მეორე ტაიმში შელიას ადგილი ლობჟანიძემ დაიკავა, ინალიშვილმა დაცვაში დაიწია, შოთამ — ნახევარდაცვაში. თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ნოდიამ მთავარ საზრუნავად ანგარიშის შენარჩუნება გაიხადა და მატჩის შემდეგ კმაყოფილებას ვერ მალავდა, შეგირდებმა დავალება უნაკლოდ რომ შეუსრულეს: აკი მოგახსენეთ, მეორე ტაიმი ჩვენთვის მნიშვნელოვანი და დამაიმედებელი რომ იყო, არადა, მეტოქეს თავზეხელაღებულ შეტევებში რომ აჰყოლოდით, ალბათ ერთ მიღებულ გოლს მაინც „გამოვრჩებოდით", ავსტრიელთათვის ოქროს ფასი რომ ექნებოდა.

დაცვაში გატარებულ ტაიმში „დინამო" ერთადერთხელ დაჯარიმდა! საჯარიმოში ზოიძე, ნემსაძე, ინალიშვილი და ლობჟანიძე თამაშობდნენ უშეცდომოდ, რეზომ და ყაველაშვილმა უკან დაიწიეს და თავთავიანთ ფლანგებზე სულიერი არ გააჭაჭანეს, ყაველაშვილმა ისიც კი მოახერხა, ერთი-ორჯერ მწვავედაც შეუტია. დანარჩენებიც შეახსენებდნენ ხოლმე თავს მეტოქის დაცვას და ჯამარაულმა ხომ ალბათ თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშა: ერთხანს რეზოსაც შეეშველა მარჯვენა ფრთაზე, ბურთსაც კარგა ხნით უმალავდა ხოლმე მეტოქეს, ოღონდ ეგაა, ერთი-ორჯერ პასი დააგვიანა. „დინამო" ხანდახან მაინც ახერხებდა წინ წაწევას, ოღონდ შემტევის მიშველებას ერთი-ორი კაცი თუ გაბედავდა.

საგოლე მომენტები მაინც შეიქმნა: ჯერ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა შოთამ კოხი მოატყუა, მაგრამ მახვილი კუთხიდან ძელს მოარტყა, ბოლოს კი სანესთან ნაბრძოლმა, გასავათებულმა ინალიშვილმა ძლიერად დარტყმა ველარ მოახერხა.

ანგარიშის შენარჩუნების სურვილი კი ნათამაშები დროის პროპორციულად იზრდებოდა. ბოლოს არჩილმაც მიატოვა მეტოქის ნახევარი, დაცვაში გადაერთო და საპასუხო მატჩის გენერალური რეპეტიციაც ვიხილეთ, რომელმაც წარმატებით ჩაიარა და არათუ საინსბრუკე, საბულგარეთო იმედიც გაგვიორმაგა: მართალია, ორი კვირის შემდეგ შელია დაგვაკლდება, ავსტრიელებიც უფრო გაავთრებით შემოგვიტევენ, მაგრამ სად ათი ქართველი რომ მოინდომებს და სად — თერთმეტი.

ოღონდ, თუ ავსტრიელთა ძლევა გვინდა და სხვებისაც, ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: ევროთასებზე ნათამაშები ხუთივე მატჩი „დინამომ" ერთი და იგივე შემადგენლობით ჩაატარა. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს გუნდში თერთმეტი შეუცვლელი ფეხბურთელია. თერთმეტი კაცი კი, თუნდაც თერთმეტი ქართველი იყოს, როდემდე გაუმკლავდება მეტოქეებს?

მამუკა ჩიხლაძე

გია ახალაძის ფოტოები



ეროვნული ბიბლიოთეკა



| |
|---|
| **უეფას თასი** |
| ოცდამეთორმეტედფინალი. პირველი მატჩი |
| თბილისი, ეროვნული სტადიონი, 13 სექტემბერი |
| **„დინამო" თბილისი — „ინსბრუკი" ავსტრია 1:0** |
| 1. ზოიძე<br>4. შელია<br>2. ნემსაძე 3. ლობჟანიძე<br>5. ინალიშვილი<br>9. რ. არველაძე 8. ჯამარაული 10. ქინქლაძე 6. ყაველაშვილი<br>11. შ. არველაძე 7. ა. არველაძე |
| 11. სანე 9. იანეშიცი<br>6. კირხლერი 10. შტიოგერი 8. ბაური<br>2. პარტმანი 7. ჩერნი<br>5. პოიგერი 4. ვაცინგერი<br>3. შტრაიტერი<br>1. კოხი |
| შეცვლები: 87-ე წთ. ყაველაშვილი — 14. ცქიტიშვილი<br>89-ე წთ. ა. არველაძე — 13. დიდავა |
| 1:0 რ. არველაძე (40, პენალტით) |
| გაფრთხილება: პარტმანი (17), შტრაიტერი (21), შელია (31), ჩერნი (45), კირხლერი (58). გაძევება: შელია (44) |
| მსაჯები: პირო, მატეუსი, ჟერარი (ბელგია) |
| კუთხური 4:4 (3:1); ჯარიმა 7:31 (6:18), თამაშგარე 4:3 (3:2), კარში დარტყმა 10:13 (8:4) |

| | ჯარიმა | | კარში დარტყმა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | + | − | სულ | საჯ. გარ. | საჯ. შიგნ. | აცდა | მეკარე | ძელი | გოლი |
| 1 ზოიძე | 1 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 2 ნემსაძე | 4 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 3 ლობჟანიძე | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 4 შელია | 2 | 2 | — | — | — | — | — | — | — |
| 5 ინალიშვილი | 1 | — | 3 | 2 | 1 | 1 | 2 | — | — |
| 6 ყაველაშვილი (კაპ) | 3 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 7 ა. არველაძე | 5 | — | 1 | — | 1 | 1 | — | — | — |
| 8 ჯამარაული | 5 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 9 რ.არველაძე | 3 | — | — | — | — | — | — | — | 1 პ |
| 10 ქინქლაძე | 5 | 1 | 3 | 3 | — | 2 | 1 | — | — |
| 11 შ. არველაძე | 2 | 1 | 3 | — | 3 | — | 2 | 1 | — |
| 14 ცქიტიშვილი | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 13 დიდავა | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| სულ | 31 | 7 | 10 | 5 | 5 | 4 | 5 | 1 | 1 პ |

| | ჯარიმა | | კარში დარტყმა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | + | − | სულ | საჯ. გარ. | საჯ. შიგნ. | აცდა | მეკარე | ძელი | გოლი |
| 1 კოხი | — | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 2 პარტმანი | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — |
| 3 შტრაიტერი (კაპ) | — | 3 | — | — | — | — | — | — | — |
| 4 ვაცინგერი | — | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 5 პოიგერი | — | 3 | — | — | — | — | — | — | — |
| 6 კირხლერი | — | 9 | 1 | — | 1 | 1 | — | — | — |
| 7 ჩერნი | — | 2 | — | — | — | — | — | — | — |
| 8 ბაური | 2 | 3 | 4 | 4 | — | 2 | 1 | — | — |
| 9 იანეშიცი | 1 | 4 | — | — | — | — | — | — | — |
| 10 შტიოგერი | 1 | — | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — |
| 11 სანე | 2 | 1 | 4 | 4 | — | 2 | 2 | — | — |
| | 1 დარტყმა მცველმა მოიგერია | | | | | | | | |
| სულ | 7 | 31 | 13 | 10 | 3 | 7 | 5 | — | — |

## ფული რა მოსატანიაო...

როგორც შევიტყვეთ, კლუბ „ინსბრუკის" პრეზიდიუმის წევრის მაიერის დაპატიმრებამ (იგი ამას წინათ დააკავეს) კლუბის ხაზინა ერთობ გაალარიბა, თუმცა ინსბრუკელი ფეხბურთელები გაგებით შეხვდნენ შექმნილ ვითარებას. ამას ისიც მოწმობს, რომ ისინი ყაბულს არიან თბილისის „დინამოსთან" საბოლოო გამარჯვების საფასურად თითოეულმა მხოლოდ 10 ათასი შილინგი (დაახლოებით 900 დოლარი) მიიღოს. შედარებისთვის ვიტყვით, რომ შარშან „ფერენცვაროშის" გამოგდებისთვის ყოველი ინსბრუკელი ფეხბურთელი 50 ათასი შილინგით გამდიდრდა. ავსტრიელთა კაპიტანმა შტრაიტერმა განაცხადა, მის არც ერთ კოლეგას ამის თაობაზე პრეტენზი[illegible]

მატჩისშემდგომი პრეს-კონფერენციაზე

# გივი ნოდია: ინსბრუკში რომ გავიღვიძებ...

— ჩემი ფეხბურთელების გონივრული მოქმედებით უაღრესად კმაყოფილი ვარ. ათი კაცით ასე თამაში მხოლოდ მაღალი კლასის ოსტატებს შეუძლიათ. მართალია, მატჩი შესაძლოა ფრედაც დამთავრებულიყო, მაგრამ არც 2:0 მოგება იყო გამორიცხული. თუმცა დიდი დანაკლისი გვაქვს, არ გვეყოლება შელია, მაინც შევძლებთ მშვიდად და მიზანმიმართულად მოვემზადოთ.

**— უშელიოდ როგორ ითამაშებთ?**

— ახალ ხერხებს მივმართავთ. ახლა, ცხელ გულზე, ზუსტად ვერაფერს გეტყვით. ოცდაშვიდში ინსბრუკში რომ გავიღვიძებ, შემადგენლობას საბოლოოდ მაშინ თუ დავადგენ. მანამდე, ვინ იცის, რა მოხდება. მაგალითად, დღევანდელ მატჩში ნემსაძის და ინალიშვილის თამაში სათუო იყო. პირველს ძველი ტრავმა გაუმიზეზდა, მეორეს კი გუშინ მაღალი სიცხე ჰქონდა.

**— ესე იგი, სხვა გუნდიდან შელიას შემცვლელს არ მოიწვევთ?**

— თეორიულად ასეთი რამ შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად, გარკვეულ მოსაზრებათა გამო, არ ღირს. ერთ-ერთი მოსაზრება ის არის, რომ, ძნელია კაცი სხვა გუნდიდან ჩამოიყვანო და პირდაპირ გადამწყვეტ მატჩში მოედანზე გაუშვა.

**— ინსბრუკის გუნდი უფრო ძლიერია თუ მოლდოვას ნაკრები?**

— უხერხული კითხვაა. დღეს ბიჭებმა იმდენივე ენერგია დახარჯეს, რამდენიც მოლდოვას ნაკრებთან, თითზე ჩამოსათვლელი მომენტები შექმნეს, სამაგიეროდ, გოლი გაიტანეს.

**— რას იტყოდით, საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა რომ შემოგთავაზონ?**

— ვეთანხმები ფეხბურთის ფედერაციას იმაში, რომ ნაკრების მწვრთნელი კლუბში არ უნდა მუშაობდეს. მართალია, რუსეთის ნაკრების მაგალითი საპირისპიროა, მაგრამ რაღა რუსეთს და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს უნდა მივბაძოთ. უმჯობესი არაა, განვითარებული საფეხბურთო ქვეყნების გამოცდილება გავიზიაროთ?

**— სხვა ფორმით, ვთქვათ, კონტრაქტის მიხედვით, ითანამშრომლებთ ნაკრებთან?**

— მაშინ ასე გიპასუხებთ. ჯერ უნდა იყოს წინადადება და მხოლოდ შემდეგ ჩემი თანხმობა ან უარი.

**— თუ მალტის ნაკრებთან თამაშით დავიწყებთ, შოთა არველაძეს უკვე მეხუთე მატჩია, გოლი ვერ გააქვს. ამას რითი ახსნით?**

— ამ ფაქტს, ჩემს გარდა, ყველა მეტიხმეტ ყურადღებას აქცევს. თავად შოთაც ძლიერ ნერვიულობს. ისიც კი თქვა, რაც პენალტების დარტყმა დავიწყე, თამაშიდან ველარ გამაქვსო და თერთმეტმეტრიანები სხვას გადააბარა. სხვათა შორის, მე ისე ვღელავდი, არც შემიხედავს, ვინ დაარტყა. მოკლედ, შოთას დროებით ხელის მოცარვაზე ყურადღების გამახვილება არ ღირს.

**— მსაჯობაზე რას იტყვით?**

— შელიასთვის წითელი ბარათი არ უნდა მიეცა. სანე გამოცდილი ფეხბურთელია, მან ის მომენტი შესანიშნავად გააფორმა. აჩიკოსაც უნდოდა მეორე ტაიმში ავსტრიელისთვის ყვითელი ბარათის პროვოცირება, მაგრამ მსაჯი არ წამოეგო.

**— მეტოქეთაგან ვის გამოყოფდით?**

— იანეშიცს, შტიოგერს და ჩერნის.

# ჰანს კრანკლი:



# პირველივე წუთიდან შეგიტევთ

— ვულოცავ „დინამოს“, ის მომავლის გუნდია. თბილისში 0:1 წაგებას წარმატებად ვთვლი, თუმცა თამაშს, მეტადრე კი მის მეორე ნახევარს თუ გავიხსენებთ, ფრეც შესაძლებელი იყო. ინსბრუკში შევეცდებით 2:0 მოვიგოთ, უკიდურეს შემთხვევაში — 1:0 მაინც. მთავარია გოლი არ გავუშვათ, თორემ მერე საკმარისი უპირატესობის მიღწევა ძალიან გაძნელდება.

**— შელიას გაძევების შემდეგ გუნდს შეტევისკენ მოუწოდეთ?**

— ტაქტიკა შევცვალეთ, მაგრამ თბილისელთა ტექნიკა და სისხარტეც გავითვალისწინეთ და უკანმოუხედავ შეტევაზე არ გადავსულვართ. მე კმაყოფილი ვარ, როგორ შემისრულეს მოთამაშეებმა დავალება. გოლი კი არ გავიდა, რას იზამ, ასეც ხდება.

**— დინამოელთაგან ვის გამოარჩევდით?**

— ქინქლაძეს, რომელიც უკვე ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მიმაჩნია. მის გარდა სამივე არველაძეს, მეტადრე ტყუპებს, ჯამარაულსა და ზოიძეს.

**— რა მოხდებოდა, ინსბრუკელებს მოედანზე კრანკლი რომ ჰყოლოდათ?**

— ახალგაზრდა კრანკლით ნამდვილად მოვიგებდით. ახლანდელს რომ მეთამაშა... ფრეს მაინც გავახერხებდი.

**— შინ ტაქტიკას როგორ შეცვლით?**

— თქვენ, ჟურნალისტები, ტაქტიკას გადაჭარბებულ ყურადღებას აქცევთ, სინამდვილეში არც ისე მნიშვნელოვანი რამ არის. ისე კი, რა თქმა უნდა პირველივე წუთიდან გოლის შეგდებას შევეცდებით.

**— მსაჯობაზე რას იტყვით?**

— განსაკუთრებული არაფერი ჩაუდენიათ. უფრო ზოგადი შენიშვნა მაქვს, არ მომწონს ფიფა-ს ბოლო მითითებების შესაბამისად მოთამაშეებს ყველაფერზე ყვითელს რომ აჩვენებენ. მათი გადამკიდე, მეორე-მესამე ეტაპზე, შესაძლოა კაცს იუნიორების გამოყვანა მოგიწიოს.

**— საპასუხო შეხვედრამდე, ავსტრიის ჩემპიონატში, რა თამაშები გელით?**

— ჯერ „ადმირას“, შემდეგ კი ერთ კვირაში ორჯერ ზალცბურგის „კაზინოს“ ვეთამაშებით. „კაზინოსთან“ პირველი მიმდინარე წრის თამაშია, მეორე — მომდევნოსი. სამივე შეხვედრა ურთულესია, რითაც კმაყოფილი ვარ. „დინამოსთან“ მატჩის წინ კარგად გამოვიწრთობით.

**P.S.** პრეს-კონფერენციამდე „ინსბრუკის“ მწვრთნელი ავსტრიელ ჟურნალისტებსაც ესაუბრა. ინტერვიუ ჩვენი რედაქციის „გერმანისტმა“ ერეკლე კიკილაშვილმა ჩაიწერა.

— „დინამო“ და მისი ყოველი მოთამაშე მომავლის ფეხბურთს თამაშობს, თუმცა დღევანდელი შედეგი უფლებას გვაძლევს შემდეგ ეტაპზე გასვლის იმედი ვიქონიოთ. ინსბრუკში სანეს იმედი მაქვს განსაკუთრებულად. „დინამოზე“ ერთსაც ვიტყვი: არ გამიკვირდება, რომ თბილისელები თასის ფინალამდე მივიდნენ.

**— დღევანდელი ანგარიში ჩვენთვის დასანანია. რამემ თუ მოგანიჭათ სიხარული?**

— დიდად მსიამოვნებს, რომ ჩვენ კარგად ვითამაშეთ, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი არ დავკარგეთ, რომ ჩემმა გუნდმა 90 წუთის განმავლობაში მანქანასავით იმუშავა, რომ ჩემი ფეხბურთელები უკვე კარგად უგებენ ერთმანეთს.



# შავი კაცის «შავი» საქმე

„ინსბრუკის“ სენეგალელმა თავდამსხმელმა სულეიმან სანემ ბურთის პირველი მიღებისთანავე გაამართლა ის დახასიათება, ჩვენს გაზეთში რეზო არველაძემ და ოთარ კორღალიძემ რომ მისცეს. რეაქტიული სისწრაფის პატრონი დაკარგულ ბურთზეც კი თავგამოდებით იბრძოდა და, მართალია, გოლი ვერ გაიტანა, ისეთი რამ ჩაიმოქმედა, ერთ გოლს ნამდვილად უდრიდა: შელია მინდვრიდან გააძევებინა. მატჩის შემდეგ მურთაზს დანა პირს არ უხსნიდა, ერთი ისლა გვითხრა, მეორე შეტაკებისას ჩემი ბრალი არაფერი იყო, თვითონ გამომედოო. სანე სხვაგვარად ფიქრობდა:

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ მსაჯი სავსებით მართალი იყო, როცა შელიას წითელი ბარათი უჩვენა: მე ხომ მეკარესთან პირისპირ გავდიოდი და ეს მცველისთვის „უკანასკნელი იმედის“ ჯარიმა იყო.

**— მთლიანად თამაშზე რას იტყვით?**

— მშვენიერი თამაში იყო. „დინამომ“ მაღალტექნიკური ფეხბურთი ითამაშა. ვიცოდით, თქვენი მოთამაშეები განსაკუთრებით ბურთის ფლობისას რომ არიან ძლიერნი. ის კი, ჩვენს კარებთან ბევრჯერ თავსატეხი სიტუაცია რომ შეგვიქმნა, იმის ბრალია, რომ ამ ეტაპზე ჯერ კიდევ შეუთამაშებელნი ვართ.

**— მეორე მატჩი როგორ დამთავრდება?**

— არა მგონია, თქვენები უპირატესობის შენარჩუნებას შეეცადონ, ასე რომ, გახსნილი თამაშის იმედი მაქვს. ვეცდებით მომდევნო ეტაპზე გასასვლელი ანგარიშით მოვიგოთ, თუმცა ეს არც ისე იოლი იქნება.

ზურაბ მექველია

# მიმიფურთხებია პოლიტიკისთვის!

დაკვირვებული თვალი ნაკრებისა და „დინამოს“ მატჩებზე იოლად შეამჩნევდა ტრიბუნაზე მსხდომ ორ დიდ ფეხბურთელს, ვლადიმერ გუცაევს და ვალერი გაზაევს. „დინამო“ — „ინსბრუკის“ მატჩის შემდეგ მცირე ხნით მოვიხელთე მოუხელთებელი ფორვარდი, რომელიც ახლა ვლადიკავკაზის „სპარტაკს“ უდგას სათავეში და, როგორც ამბობენ, მეორე კაცია ოსეთში ახსარბეკ გალაზოვის შემდეგ.

**— თქვენი სტუმრობა მხოლოდ მონატრებას უნდა მივაწეროთ?**

— რა თქმა უნდა, არა, თუმცა არც უმაგისობაა — თბილისში უამრავი მეგობარი მყავს. დღესაც ჩემი მეგობრის ვოვა გუცაევის სტუმარი ვარ. რაც შეეხება ჩემი ჩამოსვლის მიზანს, მინდოდა მენახა, რას წარმოადგენს თბილისის „დინამო“, კლუბი, რომელიც ეროვნული ნაკრების ბაზაა.

**— ნუთუ მხოლოდ ნახვა გსურდათ?**

— პირდაპირ გეტყვით, მე დინამოელთა წაყვანა მსურს ვლადიკავკაზში.

**— უკვე შეარჩიეთ ფეხბურთელები?**

— დიახ, მაგრამ, სამწუხაროდ, რუსეთის ჩემპიონატში მხოლოდ სამი უცხოელის ყოლის უფლება გვაქვს, არადა, სიამოვნებით წავიყვანდი ნახევარ გუნდს.

**— მაინც ვინ შეარჩიეთ?**

— ჯერჯერობით საიდუმლოა (მეორე დღეს გაზაევი ზაზა რევიშვილთან მოსაუბრე ვნახე დიღმის ბაზაზე. მ.კ.).

**— განა საშიში არ არის ოსეთში ქართველის გამოჩენა, თუნდაც ფეხბურთელის?**

— არავითარ შემთხვევაში. ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტის დროსაც ჩემს გუნდში ინგუში თამაშობდა, მაყურებელს იგი ძალიან უყვარდა. მე არ ვერევი პოლიტიკაში და საერთოდ, მიმიფურთხებია პოლიტიკისთვის. ჩვენი გუნდის ფარმ-კლუბში „ოლაფ-ავტოდორში“ მოთამაშე-მწვრთნელი ცნობილი გურამ ჩქარეულია, მთავარი მწვრთნელიც ქართველია — ჯარაშვილი, ასე რომ, თავად განსაჯეთ, არსებობს თუ არა რაიმე საშიშროება. თქვენს ბიჭებს ოსეთში ხელისგულზე ატარებენ.

**— ომარ თეთრაძეს არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, რომ...**

— ვიცი, რაც უნდა მითხრათ — ომარს დღესაც ვეპატიჟები. ქართული ფეხბურთისთვის კარგი იქნება, თუ თქვენები რუსეთის კლუბებშიც გამოვლენ. მათი თამაშის ხარისხი ამით გაუმჯობესდება.



**— თუ გარიგება შედგა, როდის ვიხილავთ ჩვენებს თქვენთან?**

— წლევანდელი სეზონის შემდეგ.

**— რატომ დამარცხდა ნაკრები და რით აჯობა „დინამომ“ „ინსბრუკს“?**

— თქვენებმა მოლდოვა სათანადოდ არ შეაფასეს; მეორეც — ნაკრებმა გამოკვეთილად სამი მცველით ითამაშა, ფლანგებზე მოთამაშენი კი ვერ ასწრებდნენ უკან ჩამოსვლას და დაცვაც შიშვლდებოდა. თანაც: საზღაური მეტად დიდი იყო — 3 ქულა. მეორე ტაიმში თვალში მეცა თქვენების აჩქარება და ქაოტური შეტევები.

„ინსბრუკი“ აშკარად უფრო მაღალი კლასის გუნდია, ვიდრე მოლდოვას ნაკრები. დინამოელებმა შეძლეს გონს მოსვლა, ფსიქოლოგიურად გარდატეხა და წარმატებასაც მიაღწიეს. შელიას გაძევების შემდეგ მწვრთნელმა სწორად შეარჩია ტაქტიკა და აკი გაუმართლა. ის კი არა, კინაღამ მეორე გოლიც გაიტანეთ.

**— უნდა გაეძევებინა მსაჯს მეკარე, როცა მან ჯამარაული მოცელა?**

— მსაჯი სწორად მოიქცა. ეს არ იყო უკანასკნელი იმედის ჯარიმა, რადგან მარცხენა ზონას მცველები ავსებდნენ. აი, მატჩის მიწურულს კი შოთა არველაძე რომ წაქცეულიყო, მსაჯი მეკარესაც გააძევებდა და პენალტსაც დანიშნავდა.

მამუკა კვარაცხელია

# პრეზიდენტი... ღვინის ბოცით

გუშინ ტელეფონით კიშინიოვში დავუკავშირდით გაზეთ „ფოტბალ პებდას“ რედაქტორს არკადი ზაპოროჟანუს და ვთხოვეთ მოეთხრო იქაური ამბები მოლდოველების ჩვენს ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ:

— ეიფორიიდან უცებ გამოვედით. მედიამ ქება-დიდების სიტყვები არ დაიშურა ჩვენი ფეხბურთელებისთვის. ეგაა, თბილისიდან ჩასულებს არავინ დაგვხვედრია ერთი კაცის გარდა. ეს იყო ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, რომელიც... ღვინით სავსე უშველებელი ჭურჭლით შეგვეგება.

კვირას გამართული ჩვენი ჩემპიონატის მეექვსე ტურის მატჩები კი ასე დასრულდა: კრისტალული — ტილიგული 1:6, ოლიმპია — ზიმბრული 1:1, ბუჯაკი — პროგრესული 4:0, ტიგინა — მზ 93 2:1, სპორტული — კოდრუ 1:0, ტორენტული — აგრო 0:1, ნისტრუ (ოტაჩი) — ნისტრუ (ჩიბო) 5:0.

ამ მატჩში ანგარიში გახსნა თქვენმა თანამემამულემ მამუკა მანაგაძემ. ეს ქართველის პირველი გოლია მოლდოვას ეროვნულ ჩემპიონატში. ამავე მატჩში ითამაშა მისმა თანაგუნდელმა გოჩა ბრეგვაძემაც.

ექვსი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ტილიგული — 18 ქულა, ზიმბრული — 16, ოლიმპია — 14, ნისტრუ (ოტაჩი) — 13, ტიგინა — 13, მზ 93 — 12, ნისტრუ (ჩიბუ) — 7, ბუჯაკი — 6, კოდრუ — 6, აგრო — 4, სპორტული — 4, პროგრესული — 4, კრისტალული — 3, ტორენტული — 1

# „კახეთი“ კახელებს ელის

**თელავის „კახეთი“ თავიდანვე უმაღლეს ჯგუფში გადასასვლელად იბრძოდა. 1992 წელს მიზანსაც მიაღწია, თუმცა შემდგომ გავარდნის საშიშროება შეექმნა, მაგრამ მხსნელად მწვრთნელი თემურ მახარაძე მოევლინა. გასულ სეზონში კი სერგო გაბელაიას მეცადინეობით გადარჩნენ. რაც მახსოვს, „კახეთი“ მუდამ ფინანსურ კრიზისს განიცდის, არადა, საკვირველია: კახეთის ამ კლუბს მუდამ თბილისელი სპონსორები უმართავენ ხელს. კლუბის ახალგაზრდა პრეზიდენტთან არჩილ გოგიჩაძესთან ინტერვიუ ამ თემაზე საუბრით დავიწყე.**

— კლუბს შარშან ივლისში ჩავუდექი სათავეში. ჩემს გარდა მისი მეპატრონეა ფირმა „რეისის“ პრეზიდენტი კოკა ჯორჯიკია და რამდენიმე კერძო პირი. ნელნელა ვაგვარებთ ფინანსურ პრობლემებს.

**— „კახეთმა“ ჩემპიონატი ზედიზედ სამი მარცხით დაიწყო...**

— არც იყო გასაკვირი — თავიდან ცამეტი ფეხბურთელით გვყავდა. აქედან ორი მეკარე იყო. მოთამაშეები უკვე დანაწილებულები იყვნენ და გაჭირდა კლუბის შევსება. ახლა ყველაფერი წესრიგშია, გუნდი დავაკომპლექტეთ, ავიყვანეთ გიორგი ლუდუშაური, რომელმაც ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ისახელა თავი. გუნდს დაუბრუნდა ვეტერანი თავდამსხმელი გოჩა ჭერიტიძე.

**— აკი „ბათუმთან“ მოიგეთ კიდეც—**

— ვფიქრობ, ეს მოგება გარდამტეხი უნდა გახდეს „კახეთისთვის“.

**— წელს რას უმიზნებთ?**

— ხუთეულში გვსურს მოხვედრა.

**— უფრო შორეულ პერსპექტივაზე რას გვეტყვით?**

— პერსპექტივაში ჩვენც ევროტურნირებზე ვფიქრობთ.

**— „კახეთს“ „ერთწლიანი“ გუნდების ბედი ხომ არ ეწევა?**

— რამდენიმე თვეც და თელავში ბავშვთა საფეხბურთო სკოლას გავხსნით, ჩვენს მომავალს ჩვენვე გავზრდით. დღეს „კახეთში“ ორი თელაველი თამაშობს და ეს მართლაც საგანგაშო ფაქტია.

**— რაიონის ხელმძღვანელობა თუ გეხმარებათ?**

— ახლა ყველას უჭირს, მაგრამ რაიონის გამგებელი დავით სავანელი შეძლებისდაგვარად მხარში გვიდგას, ისევე, როგორც მაშველთა კორპუსი (მალხაზ ქარსელაძე). იმედია, მალე სხვა თელაველებიც შემოგვეშველებიან და დირექტორატშიც შემოვლენ. ამით მხოლოდ საერთო საქმე მოიგებს. მჯერა, მოვა ის დროც მოვა, „კახეთის“ ფეხბურთელები ევროპაში რომ ითამაშებენ.

გიორგი თავართქილაძე

## საქართველოს ჩემპიონატი

IV ტური, 10 სექტემბერი

### დურუჯი 2:1 ივერია

დურუჯი: ალავიძე, ვ. ხუბეჯიშვილი, გეგეშიძე, ელოშვილი, ჭაჭუა (ყაჩლავაშვილი), ლობჟანიძე, კანკია (ქარუნაშვილი), პოზოიანი, გ. ხუბეჯიშვილი, ლვინიაშვილი

ივერია: ტოგონიძე, ნეკერაშვილი, ლურსმანაშვილი, ნოზაძე, სამხარაძე, ტყემალაძე, შაიშმელაშვილი (ვეშაპიძე 55), ჩადუნელი (ნარმანია 75), მარღიშვილი, ქობელაშვილი, ნიკლაური

1:0 ელოშვილი (58), 2:0 ჯაშიაშვილი (62), 2:1 მარღიშვილი (85 პ)

გაფრთხილება: ქობელაშვილი, ლობჟანიძე, სამხარაძე

გაძევება: ქობელაშვილი (40)

მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

### მეტალურგი 0:0 დილა

მეტალურგი: ქორიძე, ფოფხაძე, ბურნაძე, არჩვაძე, კობიაშვილი, ვ. კილასონია, კვარაცხელია, გ. კილასონია, ზირაქიშვილი (ჩალაძე 70), მეტრეველი (გაფრინდაშვილი 46), ალადაშვილი

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, თარხნიშვილი, წკრიალაშვილი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი (ტაბატაძე 60), მინდიაშვილი, რევაზიშვილი, გეგეჭკორი

გაფრთხილება: გეგეჭკორი, ფოფხაძე

მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

### ზუგდიდი 6:1 მარგვეთი

ზუგდიდი: ჭანტურია, ახვლედიანი, ძალამიძე, თუთბერიძე, მიქაძე, ჯინორია (კუტალია 46), ნ. კაკუბავა (ჯაბუა 72), გუგუჩია, დარასელია, გაბისონია, დ. კაკუბავა

მარგვეთი: ნიქაბერიძე, ლაჩავა, გურიელიძე, მაღლაკელიძე, ლონლაძე, აფციაური, გაბრიჭიძე, კაციაშვილი (ფანცხავა 46), ენდელაძე, მაჭავარიანი, ფოცხვერაშვილი (მინაშვილი 73)

1:0 დარასელია (26), 2:0 გაბისონია (43), 3:0 დარასელია (54), 4:0 ნ. კაკუბავა (68), 5:0 დარასელია (83), 5:1 მაჭავარიანი (83), 6:1 კუტალია (88)

გაფრთხილება: ძალამიძე, კაციაშვილი, აფციაური

მსაჯი: გ. ხეჩუაშვილი (კასპი)

### საპოვნელა 1:4 გურია

საპოვნელა: თევზაძე, კუხიანიძე, გეწაძე (ბუნტური 81), ჭულუხაძე, ხვარეშია (ჩინჩალაძე 77), უკლება, ჯულელი, ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ხურცილავა

გურია: ბერაძე, კოროტკოვი (რეხვიაშვილი 79), თევზაძე, რუხაძე, განიევი, სიხარულიძე, ლორია, ხართიშვილი, გოგოლაძე, ყულევჯიშვილი (ბუცურეიშვილი 68), გამცემლიძე

0:1 გოგოლაძე (26), 1:1 გოდერძიშვილი (67), 1:2 გამცემლიძე (71), 1:3 სიხარულიძე (77), 1:4 გამცემლიძე (86)

გაფრთხილება: უკლება, კოროტკოვი

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

### სამგურალი 0:3 შევარდენი

სამგურალი: კიკალეიშვილი, მუშკუდიანი (თოდაძე 65), ივანეიშვილი, ქობულაძე, გ. ჯანელიძე, აფციაური, ცნობილაძე, იობიძე, ლ. ფესტვენიძე, ვ. ჯანელიძე, კუხიანიძე (ხარაბაძე 46)

შევარდენი 1906: დევაძე, მჭედლიშვილი, დიმიტრიშვილი, მელქაძე, მესტუმრე, ნადირაძე, მაქაცარია (ჭოლოკავა 46), ჯიქია, ცაავა (მაისურაძე 74), ფრიდონაშვილი, შუბითიძე

0:1 ცაავა (14), 0:2 ცაავა (47), 0:3 ფრიდონაშვილი (82

გაფრთხილება: ქობულაძე, ცნობილაძე

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

### კახეთი 1:0 ბათუმი

კახეთი: გვარამაძე, შალამბერიძე, კაციტაძე, სანადირაძე, სოლოლაშვილი, ჭერიტიძე, მაისურაძე (ხორხელი 60), კანდელაკი (ბაკურაძე 15), კალუგა, ბაბულაიძე, შონია

ბათუმი: ბალაძე, მუჯირი (ფუტკარაძე 65), შანიძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ღლონტი (ი. მახარაძე 46), ტულუში, ამბიძე

1:0 კაციტაძე (48)

გაფრთხილება: მაჭუტაძე

მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვეტერანთა „ვაჟის“ შეიდკაცა

თბილისი, 14 სექტემბერი

მსაჯები: გოჩა აბაშიძე (5 თამაში), ლევან მგელაძე (4), ავთო ლიბრაძე (3)

მეოთხედფინალი

რუსთავი II 28 (14) — ყოჩები 12 (0); თბილისი 21 — უნივერსიტეტი 0; გუმარი 31 — დინამო 0; რუსთავი 14 (0) — თბილისი II 10 (10) (ლ. გ. — გეგელაშვილი)

ნახევარფინალი

V-VIII ადგილებისთვის: ყოჩები 17 (7) — უნივერსიტეტი 3 (3); თბილისი II 21 (7) — დინამო 0

I-IV ადგილებისთვის: რუსთავი II 19 (5) (3ლ: ჩიქვინიძე, ხუციშვილი, მინდორაშვილი; 2გ: ი. ლეჟავა) — თბილისი 5 (0) (ლ: იოვაძე); გუმარი 19 (12) (3ლ: ბეხელია, კ. მაჩიტიძე, ჩიქავა; 2გ: ძაგანელი, მაჩიტიძე) — რუსთავი 7 (0) (ლ: კბილცეცხლაშვილი; გ: ბ. იურინი)

ფინალი

VII-VIII: უნივერსიტეტი 26 — დინამო 5. V-VI: ყოჩები 17 (5) — თბილისი II 7 (0). III-IV: თბილისი 14 (14) (2ლ: ქავთარაშვილი, იოვაძე; 2გ: იოვაძე) — რუსთავი 0

I-II ადგილებისთვის

გუმარი 21 (7)

რუსთავი II 10 (3)

გუმარი: ობოლაძე, ჩიქავა / დიდებულიძე (12), ზ. ლეჟავა - ლ (11); გ. ძაგანელი / ჯანელიძე (14) - ლ (21), მაჩიტიძე - 3გ, ბეხელია - ლ (15), მარჯანიშვილი

რუსთავი II: ცაბაძე / ზ.მოდებაძე (12), მთიულიშვილი, ჯიმშელაძე; ხუციშვილი, ი. ლეჟავა - ს (4) + ლ (18) + გ, ლ. ბერიშვილი / ჩიქვინიძე (12), მინდორაშვილი

მსაჯი აბაშიძე (11+11)

საბოლოო კლასიფიკაცია: 1. გუმარი (11 ლელო), 2. რუსთავი II (8), 3. თბილისი (6), 4. რუსთავი (3); 5. ყოჩები (8), 6. თბილისი II (5), 7. უნივერსიტეტი (4), 8. დინამო (1)

ბომბარდირები: იოვაძე 25 ქულა (3ლ, 5გ); მაჩიტიძე 20 (2ლ, 5გ); გეგელაშვილი 18 (ლ, 5გ, ა), ი. ლეჟავა 18 (ლ, 5გ, ს); ძაგანელი 16 (2ლ, 3გ)

მელელოვეები: ბეხელია, იოვაძე და მხეიძე (ყოჩები) 3-3

# დებიუტი

ტრადიციული ვაჟური შეიდკაცას მეშვიდე გათამაშება მრავალმხრივ გამორჩეული გამოვიდა: პირველად მოხდა, რომ შეჯიბრებამ ოდენ ერთი დღე გასტანა და მთლიანად ოლიმპიური სისტემითაც მოეწყო. გამარჯვებულიც უცხო იყო: ტურნირი მოიგო „გუმარმა“, რომელიც „ბარბაროსების“ ყაიდის ქართული გუნდი ჩანს და ამ სამი თვის წინ შექმნილა საიმისოდ, სხვადასხვა მიზეზით დაკარგული თაობა დიდ რაგბს რომ დაუბრუნოს.

„გუმარმა“ კი გაიმარჯვა, მაგრამ რაკილა მისი ფორმალური სტატუსი რაგბის კავშირს ჯერჯერობით ვერ გაურკვევია, „ქართველი ბარბაროსები“ შეჯიბრებაში უ-კ-ო-ნ-კ-უ-რ-ს-ო-დ მონაწილეობდნენ, რისი წყალობითაც საქართველოს ჩემპიონად შეგვიძლია მივიჩნიოთ რუსთავის „აზოტი“, რომლის მეორე შემადგენლობამაც მეორე ადგილი დაიჭირა და აჯობა არამარტო „თბილისს“, არამედ თავისსავე პირველ გუნდს. საქმე ისაა, რომ რუსთაველებმა ცოტა წაიეშმაკეს და თავიანთი კლუბის ნაღებს იმ გუნდში მოუყარეს თავი, რომელიც „გუმარს“ ფინალამდე ვერასგზით გადაეყრებოდა. საგულისხმოა ისიც, რომ „გუმარის“ სრულ (არა სამტურნირო) სიაში ოთხი აზოტელიც — ჩიქვინიძე, ლეჟავა, ცაბაძე და მოდებაძე ირიცხება.

გამარჯვებულებს პატრონობს ამავე სახელწოდების ფირმა, რომელიც თითქმის მთლიანად მორაგბეებისაგან შედგება და იმითაა ცნობილი, რომ შარშან საშვიდკაცო გუნდი მალაიზიას მიავლინა ბიზნესმენთა მსოფლიო თამაშებში სამონაწილეოდ. ფირმას დიდ რაგბში დაბრუნებული ბიჭების საკეთილდღეოდ დიდი გეგმები აქვს. ამ გეგმის პირველი მუხლი საფრანგეთის საოქტომბრო ტურნეა, რომელიც ქართული რაგბის პოტენციალის პირუთვნელად შესაფასებლად მართლაც რომ საუკეთესო საშუალებაა.

„გუმარს“ წვრთნის ძია ბურთგლად ცნობილი გურამ მოდებაძე, მოთამაშეთა უმეტესობას კი მისი წინამძღოლობით სხვადასხვა ხანში უთამაშია ჯარის, სამხატვრო აკადემიის, რკინიგზელთა თუ რუსთავის გუნდებში. მოდებაძის გუნდს წლევანდლამდე ორჯერ უთამაშია შეიდკაცას ფინალში — 1988 და 1989 წლებში, მაგრამ ორჯერვე დამარცხებულა. მესამე ცდა წარმატებული გამოდგა.

## საქართველოს პირველობის I ჯგუფის II წრის თამაშთა განრიგი

17.IX. ყოჩები — აია (ქუთაისი). 19.IX. აზოტი (რუსთავი) — აია. 20.IX. მერკური — ლელო. 21.IX. ყოჩები — თბილისი

27.IX. აია — თბილისი. 28.IX. ლელო — ყოჩები. 29.IX. მერკური — აზოტი

3.X. ყოჩები — მერკური. 4.X. თბილისი — აზოტი. 5.X. აია — ლელო

12.X. აზოტი — ყოჩები. 13.X. ლელო — თბილისი, აია — მერკური

20.X. თბილისი — მერკური, აზოტი — ლელო

# ტრანსვაალური საქმოს ხრიკები

სამხრეთი აფრიკის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა, ტრანსვაალელმა ლუი ლეიტმა პოსტიდან უეცარი გადადგომისა და მასზე მალევე დაბრუნების შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვა: 24 აგვისტოს ქვეყნის ნაკრების — „ქურციკების“ მწვრთნელობიდან მოახსნევინა ნატალელი იენ მაკინტოში, მის მაგივრად კი ტრანსვაალის ამჟამინდელი მწვრთნელი ქიტ ქრისთი დაანიშნინა. ნაკრების მწვრთნელის თანაშემწედ ქრისთის ტრანსვაალელივე ასისტენტი რეი მორდტი ივარგებდა, მაგრამ ამას დოსიე მთლად უმწიკვლო ვერ ჰქონია — 1980-იან წლებში ინგლისში ლიგის რაგბი უთამაშია „ვიგანის“ შემადგენლობაში, რის გამოც ირბ-ის მოყვარულობის კანონთა ძალით ეროვნულ ნაკრებთან მუშაობა ეკრძალება. ახალი ხელმძღვანელობა „ქურციკებს“ ჯერ შინ შეახვედრებს სტუმრად მომავალ არგენტინელ „პუმებს“, ოქტომბერ-ნოემბერში კი ნაკრებს უელსში, შოტლანდიასა და ირლანდიაში წარუძღვება. ქრისთიმ უმალ დაცოცხა ნაკრები: იქიდან ზელანდიური ტურნეს 17 მონაწილე გარიცხა. შერისხულთა შორის მოყვნენ ცნობილი ნატალელები — სმოლი და ქუბერი, მაგრამ მერე ამათ საჯაროდ დადეს პირობა, მოედანზეც და ცხოვრებაშიც წესიერად მოვიქცევითო. ქრისთიმ ორივე შეიწყალა.

ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსის“ უხეირო მწვრთნელის — ოტაგოელი ლორი მეინსის მოხსნა 16 სექტემბრისთვის იყო დანიშნული. მოელოდნენ, რომ ამ დღეს რაგბის კავშირის სხდომა ნაკრებს უეჭველად ჩააბარებდა ოკლენდელ ჯონ ჰართს, რომელიც 1991 წლის მსოფლიო თასზე გრიზ ვაილის მხარდამხარ თანა-მწვრთნელად ილვწოდა, მაგრამ ჰართმა თავისს სამწვრთნელო კარიერაში მეხამედ წააგო კენჭისყრა და ნაკრების მწვრთნელობაზე ალბათ გულს აიცრუებს, მეინსი კი „ოლ ბლექსს“ საგაისო მსოფლიო თასზე უთავკაცებს.

სამხრეთი აფრიკის პროვინციათა პირველობის — ქარრის თასის გათამაშების წრიულ სტადიაზე გასამართი ხუთი მატჩიღა დარჩა, მაგრამ 1 ოქტომბრისთვის დანიშნულ ფინალში მოხვედრის შანსი ექვსივე მონაწილეს რჩება. სამაგიეროდ თასი, ე.წ. ლომის თასი მეხუთედ მოიგო ტრანსვაალმა. ახალ ზელანდიაში გარდამავალი ჯილდო — ფარი ქენთებრიმ ვაიკატოს ძლევით ჩრდილოეთიდან სამხრეთ კუნძულზე გაიტაცა. ქენთებრის ფარი თავის დროზე, 1985 წელს ოკლენდმა წაართვა, შარშან კი ოკლენდს ვაიკატო მოერია.

**ქარრის თასი**

27.VIII. ალმ. კონცხი 23 (0) (2ლ) — ჩრდ. ტრანსვაალი 26 (20) (2ლ); ტრანსვაალი 31 (3ლ: პინარი, ი. რუ, პენდრიქსი; 2გ, 4ს: ჯონსონი) — ნარინჯი 29 (2ლ; პერბერთი 19 ქ), ნარინჯი 26:9 იგებდა

10.IX. დას. კონცხი 65 (8ლ; სტრანსკი ლ, 8გ, 3ს = 30 ქ) — ალმ. კონცხი 22; ჩრდ. ტრანსვაალი 44 (5ლ; შარელი 19ქ) — ტრანსვაალი 35 (4ლ); ნარინჯი 22 (ლ; გ, 4ს, ა: პერბერთი) — ნატალი 18 (2ლ: მულერი, სმოლი;-)

მდგომარეობა: ნარინჯი 12 ქულა (9 თამაშიდან); ტრანსვაალი, ჩრდ. ტრანსვაალი, დას. კონცხი 8 (8); ალმ. კონცხი 8 (9); ნატალი 6 (8)

**ლომის თასი**

3.IX. ფინალი. იოჰანესბურგი. „ელის პარკი“. ტრანსვაალი 29 (16) (2ლ: პენდრიქსი, ლოუვე; 2გ, 5 გოლი) — დას. კონცხი 20 (9) (ლ: სტიუარტი (კანადელი); 5 გოლი)

**რანფერლის ფარი**

3.IX. ჰემილტონი. ვაიკატო 26 (11) (3ლ) — ქენთებრი 29 (22) (4ლ)

**პარიზის ბათასინებულების 50-ე წლისთავი**

6.IX. ფრანგი ბარბაროსები 35 (4ლ: ჯეფერსონი (აშშ) - 2,-) — ბრიტანელი ბარბაროსები 18 (ჟუბერი (სამხ. აფრიკა) — 15ქ)

# ბავშვები დაკაცებულან

გინახავთ, გუნდს მატჩი 27 ქულით წაეგოს, მაგრამ ღირსეულად ეთამაშოს და მოგებულს განსაკუთრებულად არაფრით ჩამორჩებოდეს? თუ გინახავთ, ხომ კარგი, თუ არა და „აირ ფორსეს“ — „კაქტუსის“ შეხვედრაში სწორედ ამგვარი რამ მოხდა.

„კაქტუსი“ საპასუხო მატჩზე 19-ქულიანი უპირატესობით გაემგზავრა, მოსკოვში კი სულ სხვა გუნდი დახვდა. ვალერი ტიხონენკოს გარდა „აირ ფორსესს“ ხუთეულის სამი გამოჯანმრთელებული წევრი დაემატა: ვალერის ძმა იგორი, იური ჟუკანენკო და ივან ფილიპოვი.

პირველი 15 წუთი თანაბარი იყო, მაგრამ მოედანზე იყო კაცი, რომელიც უხილავად აკონტროლებდა ყველაფერს — განწყობას, ტემპს, კომბინაციებს. ალბათ მიხვდით, ვისზეა საუბარი, თუმცა სჯობს მის მეურვეს მოვუსმინოთ:

რევაზ ჩხეიძე: „ასეთ დიდ კალათბურთელთან არასდროს მითამაშია, მაგრამ არ ვღელავდი. ვალერი ტიხონენკომ სამჯერ ისეთი ბურთი ჩამიგდო, რომ ადგილზე გამაშეშა. ვერაფრით დავაფიქსირე მომენტი, როცა ცრუ მოძრაობიდან ვერტიკალურ ნახტომზე გადადიოდა. ამის საწინააღმდეგო ხერხი არ მისწავლია და არ ვიცი“.

თუმცა, შეტევაში ჩხეიძემ იქით შეავიწროვა მრისხანე მეტოქე და მასთან პირად ორთაბრძოლებში მოგებული გარღვევებით 8 ქულა მოაგროვა. როცა „აირ ფორსესი“ 30:22 იგებდა, „კაქტუსმა“ პრესინგს მიმართა, თამაში არია და ტაიმის დამთავრებამდე 1,50 წუთით ადრე ჩამორჩენა 3-ქულიანი გახადა 30:33. ნაცვლიშვილმა მორიგი ბურთი ჩაჭრა და ცარიელ ფართან ჟღენტი გაიყვანა. ჟღენტი აიწია და...

არჩილ ჟღენტი: „როცა სასროლად ავიწიე, არ გავითვალისწინე, რომ ის ფარი სხვა მასალისგან იყო დამზადებული. ხელი ბოლომდე არ გავშალე და ავაცილე.“

დარჩენილ დროში სამარელებმა 17:7 მოიგეს. რუს მსაჯთა მაგიდას თბილისელთა დაბნეულობა არ გამოეპარა და საათის უადგილო ჩართვა-გამორთვით ტაიმს ორი-ორწუთნახევარი წაამატა.

მეორე ტაიმის საწყისი სამი წუთი „აირ-ფორსესმა“ 9:0 მოიგო. ვალერი ტიხონენკოს კი უმკლავდებოდნენ, მაგრამ აიწყვიტეს მისმა ძმამ იგორმა, ჟუკანენკომ და სტრებკოვმა — მათი ნასროლი ბურთების ჩავდების პროცენტი ამ ხანში შესაბამისად 80, 78 და 70 იყო. სამარელები ტაიმის შუაწელისთვის 36 ქულით დაწინაურდნენ. ამ დროს ჩხეიძე მეხუთე პერსონალურის გამო მოედანს ტოვებს, ტიხონენკოც დასასვენებლად ჯდება. უცებ სიტუაცია მკვეთრად იცვლება: ბერძენიშვილი პასებს ითხოვს და ორჯერ შედეგიანად ისვრის, ჟღენტი სამ სამქულიანს, ხოლო აბვლედიანი ორ ორქულიანს აგდებენ. აბრამიძე, ნაცვლიშვილი და ხოშტარია ზედიზედ უჭრიან გადაცემას მეტოქეს და დამთავრებამდე 3 წუთით ადრე „კაქტუსი“ უკვე 21 ქულას აგებს (ორი მატჩის ჯამში — 2 ქულას). ბერძენიშვილის აცდენილ საჯარიმოს ეუფლება ნაცვლიშვილი და რუმინელი არბიტრი პეონარუ არარსებულ გარბენს აფიქსირებს.

„კაქტუსი“ დამარცხდა, მაგრამ არა იმ გუნდთან, რომელიც თბილისში ვიხილეთ, არამედ მასზე გაცილებით ძლიერთან. დამარცხება ლოგიკური იყო, რადგან როცა გამოცდილება თითქმის არა გაქვს და ამის გამო მეტოქეს კლასში ჩამორჩები, მოგება შეუძლებელია. ჩვენი გუნდის საშუალო ასაკი 19,5 წელია: ამდენ ხანს სამარელთა ზოგი მოთამაშე კალათბურთს თამაშობს.

მატჩის კომენტარი ვთხოვეთ „კაქტუსის“ მწვრთნელს თამაზ ოქრუაშვილს: „გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. ჩემი ბავშვები დაკაცდნენ და ხელწამოსაკრავნი არავისთვის არიან. მაგრამ გამოცდილება ძლიერ გვაკლია — რაც კარგად გამოჩნდა პირველი ტაიმის ბოლოს და მეორის დასაწყისში. მსაჯობა ჩვეულებრივი იყო. არბიტრები ზუსტად იმდენს მიემხრნენ სამარელებს, როგორც მასპინძელს ეკუთვნის. მაგრამ ეს მცირე დახმარებაც და უდიდესი გამოცდილებაც საკმარისი აღმოჩნდა „აირ ფორსესისთვის“, რომ გადამწყვეტ მომენტებში მაქსიმალური სარგებლობა ენახა. ტიხონენკოზე ცოტას ვიტყვი — იგი უდიდესი მოთამაშეა. კმაყოფილი ვარ ჩხეიძით, ნაცვლიშვილით და აბრამიძით. კარგად გამოჩნდა ჩვენი სუსტი მხარეც — სამქულიანები. ეს იარაღი ხეირიანად რომ გვეხმარა, თამაშიც და ანგარიშიც სხვანაირი იქნებოდა“.

**მერაბ რატიშვილი**

მოსკოვი — თბილისი

კორაჩის თასი. შესარჩევი ეტაპის 1 მატჩი.

აირ ფორსესი სამარა, რუსეთი — კაქტუსი 116:89 (50:37)

მოსკოვი, ცსკა-ს უნივერსალური დარბაზი, 14 სექტემბერი

მსაჯები: ე. პეონარუ (რუმინეთი), აპოგა (ლატვია)

| აირ ფორსესი | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 იტიხონენკო | 23 | 1 | 2 | — | 2 | 1 | [illegible] |
| 10 სტრებკოვი (კ) | [illegible] | 1 | 1 | — | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 9 ვ.ტიხონენკო | 24 | 13 | 1 | 1 | 11 | 10 | 2 |
| 4 პეტრენკო | 4 | 2 | — | 1 | 2 | 2 | 2 |
| 12 ბ.ტიხონენკო | 8 | 10 | — | — | 1 | — | 5 |
| 6 კონოვალოვი | 7 | 3 | — | — | 3 | 3 | 4 |
| 5 ჟუკანენკო | 23 | 2 | 1 | — | 10 | 7 | 3 |
| 8 სტრელკინი | 2 | — | 1 | — | — | — | 1 |
| 15 ტენი | 8 | 1 | 1 | 1 | 6 | 4 | 1 |
| 13 ი.ფილიპოვი | — | 4 | 1 | 1 | — | — | 5 |
| სულ | 116 | 37 | 8 | 4 | 36 | 28 | 29 |

| კაქტუსი | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 ხოშტარია | 7 | — | 1 | — | 1 | — | 1 |
| 12 აბრამიძე | 8 | 1 | 3 | — | 3 | 2 | 4 |
| 15 ჩხეიძე | 10 | 1 | 1 | — | 2 | 2 | 5 |
| 13 ნაცვლიშვილი | 26 | 12 | 4 | 1 | 15 | 10 | 1 |
| 9 მაჭარაძე | 5 | 2 | 2 | — | 6 | 1 | 5 |
| 14 ბერძენიშვილი | 13 | 3 | 1 | — | 8 | 7 | 4 |
| 6 ჟღენტი (კ) | 9 | 2 | 1 | — | 2 | — | 4 |
| 10 აბვლედიანი | 8 | — | — | — | 2 | 1 | 5 |
| 11 ოთიურიძე | 3 | — | — | — | 3 | 1 | — |
| სულ | 89 | 21 | 13 | 1 | 42 | 24 | 29 |

ჩემპიონთა თასზე „ვითამ“ რიგაშიც წააგო „ბროცენისთან“ — 95:100. კორაჩის თასზე „თბილისი“ ორი ქულით დამარცხებულა „სტატიბასთან“, „ბიპა-მოდა“ — „მერანის“ საპასუხო მატჩის შედეგი ვერ შევიტყვეთ.


# კლუბი «მესეფი»

კვლავ სპორტის მოყვარულთა განკარგულებაშია

# ტოტალიზატორი "CROCO"

უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| | **ინგლისის ჩემპიონატი.** | | | |
| 16-18 სექტემბერი | არსენალი — ნიუკასლი | 2,3 | 2,4 | 2,4 |
| | ჩელსი — ბლექბერნი | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| | ქოვენთრი — ლიდსი | 3,0 | 2,5 | 1,8 |
| | კრისტალ პალასი — უიმბლდონი | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| | ევერტონი — ქუინზ პარკი | 2,4 | 2,3 | 2,4 |
| | იფსვიჩი — ნორვიჩი | 2,0 | 2,2 | 3,0 |
| | ლესტერი — ტოტენჰემი | 4,2 | 3,4 | 1,3 |
| | მანჩესტერ იუნ. — ლივერპული | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| | შეფილდი — მანჩესტერ სიტი | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| | საუთჰემპტონი — ნოტინგემი | 2,4 | 2,3 | 2,4 |
| | ვესტ ჰემი — ასტონ ვილა | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| | **გერმანიის ჩემპიონატი.** | | | |
| 16-18 სექტემბერი | კარლსრუე — მიუნხენ 1860 | 1,1 | 3,0 | 10,0 |
| | ბოხუმი — ფრაიბურგი | 2,0 | 2,5 | 2,6 |
| | დინამო — დუისბურგი | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| | ბაიერნი — ჰამბურგი | 1,2 | 2,8 | 8,0 |
| | შალკე — კიოლნი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| | ურდინგენი — კაიზერსლაუტერნი | 4,2 | 2,6 | 1,5 |
| | შტუტგარტი — აინტრახტი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| | ლევერკუზენი — დორტმუნდი | 1,7 | 2,5 | 3,3 |
| | ვერდერი — მიონხენგლადბახი | 1,2 | 2,8 | 8,0 |
| | **ესპანეთის ჩემპიონატი.** | | | |
| 17-18 სექტემბერი | ვალენსია — ტენერიფე | 1,3 | 2,6 | 6,6 |
| | სარაგოსა — ოვიედო | 1,1 | 3,0 | 10,0 |
| | ესპანიოლი — ბარსელონა | 3,0 | 2,5 | 1,8 |
| | სევილია — ლოგრონიესი | 1,3 | 2,6 | 6,6 |
| | კომპოსტელა — ვალიადოლიდი | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| | სპორტინგი — სელტა | 1,2 | 2,8 | 8,0 |
| | ატლეტიკი — ბეტისი | 1,4 | 2,8 | 4.4 |
| | ალბასეტე — რეალი | 5,0 | 3,0 | 1,3 |
| | რასინგი — დეპორტივო | 2,0 | 2,5 | 2,6 |
| | ატლეტიკო — რეალ სოსიედადი | 1,7 | 2,5 | 3,3 |
| | **იტალიის ჩემპიონატი.** | | | |
| 18 სექტემბერი | პარმა — კალიარი | 1,2 | 2,8 | 8,0 |
| | რომა — ჯენოა | 1,4 | 2,6 | 5,0 |
| | ტორინო — პადოვა | 1,2 | 2,8 | 8,0 |
| | სამპდორია — ფოჯა | 1,2 | 3,0 | 6,6 |
| | ბარი — რეჯანა | 1,7 | 2,5 | 3,3 |
| | ბრეშია — ინტერი | 2,4 | 2,3 | 2,4 |
| | ფიორენტინა — კრემონეზე | 1,4 | 2,6 | 5,0 |
| | მილანი — ლაციო | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| | ნაპოლი — იუვენტუსი | 2,0 | 2,4 | 2,8 |
| | **თურქეთის ჩემპიონატი.** | | | |
| 18 სექტემბერი | ტრაბზონსპორი — ბეშიქთაში | 1,6 | 2,5 | 3,8 |

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ფსონები მიიღება სასტუმრო „აჭარის“ ფოიეში სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე


# ტოტოლოტო

## საფეხბურთო პროგნოზი

**ტირაჟი 08**

25 სექტემბერი

| | |
|---|---|
| 1 | კალიარი — ბრეშია |
| 2 | კრემონეზე — მილანი |
| 3 | ფოჯა — ტორინო |
| 4 | ჯენოა — ნაპოლი |
| 5 | ინტერი — ფიორენტინა |
| 6 | იუვენტუსი — სამპდორია |
| 7 | ლაციო — პარმა |
| 8 | პადოვა — ბარი |
| 9 | რეჯანა — რომა |
| 10 | ტენერიფე — სევილია |
| 11 | სოსიედადი — ვალენსია |

ჩაბარების ბოლო ვადა — 22 სექტემბერი, 16 საათამდე



62 წლისა გარდაიცვალა 50-იანი წლების თბილისის „დინამოს“ ვარსკვლავი

**ავთანდილ ჭკუასელი**

„სარბიელი“ თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით

ინდექსი 66441

რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიბრიაშვილი
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ ბიბინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)